

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრების
ქსელური ანალიზი ილიაუნის 1918-1921 წლების პროსოპოგრაფიული ბაზის
მიხედვით

თამარ სულავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე გამოყენებითი ენათმეცნიერების მაგისტრის ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

გამოყენებითი ენათმეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ოლივერ რაისნერი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ სულავა

10.07.2020

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი ეხება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრების ქსელურ ანალიზს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1918-1921 წლების პროსოპოგრაფიულ მონაცემთა ბაზის მიხედვით. აღნიშნულ თემაზე ბიოგრაფიული მონაცემების გარდა არ არსებობს სხვა კვლევები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზაში კი – ეს პირები დოკუმენტირებულია ციფრული ჰუმანიტარიის უახლესი მიდგომებითა და სტანდარტებით. ნაშრომში მოპოვებული ემპირიული მასალა გაანალიზებულია სტატისტიკური პროგრამების საშუალებით.

ნაშრომის მიზანია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 1918-1921 წლების პროსოპოგრაფიულ მონაცემთა ბაზაში არსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კრების წევრების კლასტერული შესწავლა, ანალიზი და მიღებული შედეგების დამუშავება, გაანალიზება და დასკვნების გამოტანა. მთავარი საკვლევი საკითხი: რამდენად არის შესაძლებელი პროსოპოგრაფიულ მონაცემთა ბაზის საშუალებით კოლექტიურ, ისტორიულ ჯგუფებს შორის სოციალური კავშირების დადგენა მათი ბიოგრაფიული მონაცემების შესწავლის მეშვეობით, დიდი რაოდენობის მონაცემების გადამუშავება და რამდენად ეხმარება მკვლევარს თავისი კვლევისთვის შესაბამისი დასკვნების გამოტანაში.

საკვლევი სამიზნე სოციალური ჯგუფი – დამფუძნებელი კრების წევრები – შესწავლილი იქნება როგორც ისტორიულ-კოლექტიური ჯგუფი საერთო მახასიათებლებით და სოციალური კავშირებით. ილიაუნის პროსოპოგრაფიულ მონაცემთა ბაზიდან შეგროვილი ემპირიული მასალა დამუშავებულია სტატისტიკური პროგრამებით – წრიული დიაგრამებით. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, გამოყენებულია პროსოპოგრაფიული კვლევის მეთოდი.

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ერთი და იმავე პირებით იყო დაკომპლექტებული, რაც საინტერესო და ღირებული ინფორმაციაა მკვლევრისთვის, რადგან ცხადი ხდება აღნიშნულ ჯგუფს რა როლი ჰქონდა ქვეყნის სოციო-პოლიტიკურ ცხოვრებაში და რა იყო მათი მიზანი.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პროსოპოგრაფია, სოციალური კლასტერი, მონაცემთა ბაზა, დემოკრატიული რესპუბლიკა, დამფუძნებელი კრების წევრები.

Abstract

The present thesis is devoted to the network analysis of the members of the Constituent Assembly of the first Democratic Republic of Georgia on the basis of the prosopographical database of Ilia State University on the first Georgian republic, 1918-1921. Hitherto there exists no study except for bibliographical data. The major tool for my research is the database of Ilia State University, where modern standards and methodology are utilized for documenting information about the members of the Council. The empirical data obtained are analysed using statistical programming.

The present work aims at studying, analyzing and scrutinizing the data of the cluster kept at the 1918-1921 prosopographical database of Ilia State University. With this study I would like to find out whether it is possible to establish social relations of collective, historical groups by studying their biographical data using prosopographical database to process large amount of data and if it helps the researcher to draw specific conclusions about their study. The target group of this research, i.e., the members of Constituent Assembly, will be studied as a historical-collective group with common characteristics and social connections. The empirical data, gathered from the prosopographical database of Ilia State University are analysed using statistical programmes – circular diagrams. In accordance to the main aim of this study, prosopographical research methodology is used.

As the study has revealed, there is a high degree of similarity among the members of both, the Constituent Assembly of the Democratic Republic of Georgia and the Society for the Spread of Literacy among the Georgians. This is interesting and valuable information for the researcher, because it shows the role of the group in social and political reality of the country and what was their goal.

Key words: prosopography, social cluster, database, democratic republic, members of the founding Council.

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს ბატონ ოლივერ რაისნერს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში გაწეული დახმარებისთვის, რჩევებისთვის და მითითებებისთვის. ასევე, მადლობას ვუხდით ახალგაზრდა მკვლევარს თამარ კალხიტაშვილს თანამშრომლობისთვის ინტერვიუს ჩაწერის პროცესში.